



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ანგარიში

2023

წლიური ანგარიში

თავმჯდომარის მიმართვა

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვაგრძელებ თბილისის მაცხოვრებლების სამსახურში ყოფნას. საჯარო ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფს, იმას რომ მაღალი პასუხისმგებლობით მივიღოთ ის გადაწყვეტილებები, რომელიც საზოგადოების ინტერესებისთვისაა მიზანმიმართული.



საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება ჩვენი დედაქალაქის განვითარების გასაღებია. დედაქალაქის განვითარების პროცესში კი, მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის წვლილი.

თბილისი არის გამორჩეული კულტურული, ეკონომიკური და საგანმანათლებლო ცენტრი, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით. ამ ფუნქციის მხარდასაჭერად, მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურის და მომსახურების მიწოდება.

ჩვენ ვმუშაობთ, რომ შევთავაზოთ მიმზიდველი პირობები ბიზნეს სექტორს იმისთვის, რომ შეიქმნას შესაძლებლობები და თანაბარი გარემო ჩვენი თანაქალაქელების დასაქმებისთვის.

წლევიანდელი წელი ისევე, როგორც განვლილი პერიოდი გამოირჩეოდა მსხვილი ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, სარეკრეაციო, სოციალური თუ კულტურული პროექტებით. ასეთი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია ქალაქის ეკონომიკური აქტივობისთვის. ამასთან, მზარდი ეკონომიკის პირობებში ჩვენი მიზანია დავაბალანსოთ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები იმგვარად, რომ შევქმნათ ცხოვრებისთვის და საქმიანობისთვის მიმზიდველი გარემო ჩვენს ქალაქში.

გასული წლების განმავლობაში ჩვენ რეალურ პროგრესს მივაღწიეთ, თუმცა კიდევ ბევრი გამოწვევა გვაქვს წინ, რომელიც ერთად უნდა დავძლიოთ. ერთად უნდა განვაავითაროთ თბილისის, როგორც მაცხოვრებელზე მორგებული ქალაქის მომავალი.

გიორგი ტყემალაძე

შინაარსი

თავმჯდომარის მიმართვა-----	2
თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო-----	4
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი -----	12
ტრანსპორტი-----	14
მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები-----	19
გამწვანება და ეკოლოგია-----	28
ჯანმრთელობის დაცვა -----	32
მუნიციპალური ქონების მართვა-----	35
განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა -----	36
გეოგრაფიული ობიექტების სახელდება-----	42
წარმომადგენლობითი ფუნქცია და საგარეო ურთიერთობები-----	45
წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში-----	53

თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4 წლის ვადით**, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე, **4 წლის ვადით**, ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **50 წევრი**. აქედან, **10 წევრი** – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **40 წევრი** – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2021 წლის 3 დეკემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.


საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური.

აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე, კონკურსის წესით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.



VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 4 ფრაქცია

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 15 სხდომა
- 19 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ: 725 საკითხი და მიღებული იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

● ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

- * განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
- * თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
- * თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 წევრი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 18 სხდომა

კომისიის ხდომებზე სულ განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 258 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 344 ცვლილება (დადებითი 332, გადაიდო 12).

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების,

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 199 (198 დადებითი, 1 გადადებული)

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 58 პროექტი.

ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ გაიცა 16 თანხმობა (განკარგულება).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა 9 ცვლილება

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 17 დადგენილების სხვადასხვა პროექტი

● ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ქალაქ თბილისის ფინანსურ სისტემაში - საბიუჯეტო სისტემების საკანონმდებლო ნორმატიული აქტების, ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტების ფორმირების, ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვისა და სხვა საკითხებზე საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებისა და სამართლებრივი დასკვნების მომზადების მიზნით, რაც მიმართული იქნება დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 წევრი.

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 25 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები, საერთო ჯამში 218 საკითი მათ შორის:

- განხილულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის წლიური და 2023 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის დეკემბრის № დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების 6 პროექტი. მიღებული იქნა 6 დადგენილება.
- ასავე განხილულ იქნა მუნიციპალური ქონების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VII მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 29 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- * ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა
- * დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- * ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- * თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შემქნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა **18** სხდომა

ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა **26** საკითხი


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტი თავდაპირველი რედაქციით ჯამურად შეადგენდა 1 მილიარდ 632 მილიონ ლარს, რაც უპრეცედენტოდ გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალიტეტი 2023 წელს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრებით და პროექტების ფარგლებში, ახორციელებს 166 მილიონი ლარის ღონისძიებებს.

დღეის მდგომარეობით დედაქალაქის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა, შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც ძირითადად მისაღები შემოსულობების პროგნოზების გთვალისწინებით განხორციელდა, რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და შეადგენს 1 მილიარდ 833 მილიონ ლარს.

დედაქალაქის ბიუჯეტის ზრდის ამგვარი ტენდენცია ცალსახად მოწმობს, იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების შესაბამისად, დედაქალაქისთვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.



2023 წელს მასშტაბური პროექტები დაიგეგმა, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით. გაგრძელდა ავარიული კორპუსების ჩანაცვლების უნიკალური და უპრეცედენტო პროგრამა, ისევე როგორც ისტორიული არეალების რეაბილიტაციის პროცესი. გაგრძელდა მნიშვნელოვანი მონაცვლეობები, რომელთა განხორციელებითაც მუნიციპალიტეტს მეტი ტერიტორია დაუბრუნდა, რაც თავის მხრივ, ქალაქში კიდევ უფრო მეტი სარეკრეაციო სივრცის შექმნას გულისხმობს. თბილისის 2023 წლის ბიჯეტი შემდეგ მიმართულებებზე გადანაწილდა:

- ◦ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა
- ◦ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება
- ◦ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- ◦ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- ◦ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
- ◦ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ◦ განათლება; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- ◦ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- ◦ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

ტრანსპორტი

დედაქალაქში, ყოველთვიურად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით საშუალოდ, 12 000 000 მგზავრი სარგებლობს.

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, შესაბამისად სატრანსპორტო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსპორტით მომსახურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას კვლავ გრძელდება. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში არაერთი პროექტი დაიწყო და ხორციელდება საანგარიშო პერიოდშიც.

დედაქალაქის მერიამ გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით, ახალი პროექტი დაიწყო სახელწოდებით „მდგრადი ურბანული მობილობა თბილისში“, რომლის მიზანი ურბანული სატრანსპორტო სისტემისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებაა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მდგრადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო ქსელის შესაქმნელად, შემუშავდება ინტეგრირებული მულტიდისციპლინური მიდგომა, კერძოდ, „ჭკვიანი (ITS) სისტემების“ დანერგვით, გათვალისწინებული იქნება მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების საკითხი.

➤ ავტობუსების და მიკროავტობუსების პარკი

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, 160 ერთეული 18-მეტრიანი MAN-ის მარკის ავტობუსების შესყიდვა განხორციელდება. პირველ ეტაპზე, 2024 წლის პირველ აპრილამდე შემოვა 50 ავტობუსი, ხოლო დარჩენილი რაოდენობა - 2024 წლის ბოლომდე. ახალი ავტობუსები გათვლილია 162 მგზავრზე, აქედან 43 დასაჯდომი ადგილი იქნება. ავტობუსები სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის: სალონში გამოყოფილია სპეციალური სივრცე ეტლის უსაფრთხოდ დასაყენებლად,

ასევე, ავტობუსს აქვს გადმოსაშლელი პანდუსი; დამონტაჟებულია თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიციონერებისა და ვენტილაციის სისტემა, რომელიც გათვლილია თბილისის კლიმატურ პირობებზე; ავტობუსები აღჭურვილია ხმოვანი საინფორმაციო სისტემით, შიდა და გარე ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემით, მობილურის დასატენი წერტილებით და მონიტორინგის, მართვისა და უსაფრთხოების სხვა თანამედროვე სისტემებით.

ავტობუსებში მოქმედებს საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპიუტერს, საინფორმაციო დაფებს, აუდიო საინფორმაციო და ვიდეომონიტორინგის სისტემას, ასევე WIFI მოწყობილობას.

ამ ეტაპისათვის, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მუნიციპალური ავტობუსების პარკი 860 ერთეული ავტობუსისგან შედგება:

- MAN-ის მარკის 12 მეტრიანი ავტობუსი - 144 ერთეული
- ISUZU -ს მარკის 8 მეტრიანი ავტობუსი - 400 ერთეული
- BMC - ის მარკის 12 მეტრიანი ავტობუსი - 226 ერთეული
- MAN-ის მარკის 10 მეტრიანი ავტობუსი - 90 ერთეული

➤ **ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა -**
ყოველწლიურად იზრდება ლოკაციები ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის დასაწერად.

2023 წლის 1 ოქტომბრიდან ზონალურ-საათობრივი პარკირება ამოქმედდა ჩუღურეთის რაიონში - ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, ზაარბრიუკენის მოედანზე, ნინოშვილისა და უზნაძის ქუჩებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე; მთაწმინდის რაიონში - ლიპიაშვილის ქუჩაზე, ჭოველიძისა და ჯანაშიას ქუჩებზე და მიმდებარე ტერიტორიას; ვაკის რაიონში - კუს ტბის ასახვევის მიმდებარე

ტერიტორია. ზონალურ საათობრივი პარკირების სისტემა პრიორიტეტს ანიჭებს წინასწარ რეგისტრირებულ ადგილობრივ მცხოვრებლებს, შშმ პირებს, ელექტრომობილების მფლობელებსა და A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს - ამ კატეგორიებისთვის პარკირება უფასოა. სხვა შემთხვევაში კი, სტანდარტული ტარიფი შეადგენს ერთ ლარს ერთი საათის განმავლობაში. გარდა ამისა, მოქალაქეს შეუძლია, დღე-ღამის განმავლობაში, ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე, პირველი 15 წუთი ისარგებლოს უფასოდ.

- **ტაქსების რეფორმა** - რეფორმის ფარგლებში, 22 მაისიდან დაიწყო სპეციალური სტიკერების დარიგება A კატეგორიის იმ ტაქსებისთვის, რომელთა ასაკი 10 წელს არ აღემატება. აღნიშნული სტიკერები არის მაიდენტიფიცირებელი იმისა, რომ მათ საავტობუსო ზოლში შეეძლება გადაადგილება.
- **ელექტროდამტენები** - დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში უკვე 60-მდე ერთეული ელექტროდამტენი არსებობს, რომელთაც ოქტომბერ-ნოემბრის თვეში 30 ახალი დამტენი შეემატება. ვაკის რაიონში 5 ახალი ელექტროდამტენი განთავსდება, საბურთალოს რაიონში - 4, დიდუბეში - 4, ნაძალადევში - 2, ჩუღურეთში - 2, მთაწმინდაზე - 3, ისანში - 4, გლდანში - 1, სამგორში - 3, კრწანისში - 2, მათ ოპერირებას კი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს.

➤ მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია -

თბილისის 12 მეტროსადგურის მოდერნიზაციის პროექტის განხორციელება 2023-2029 წლებში იგეგმება. მეტროსადგურების რეაბილიტაციის ფარგლებში, შეიძლება „სადგურის მოედნის“ მესამე ამოსასვლელის სამი ესკალატორი. განხორციელდება 36 ესკალატორის ელექტროძრავის მოდერნიზაცია, რაც დაზოგავს ელექტროენერგიას. შეიძლება ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების საკონტროლო პანელები. განახლდება მგზავრთა ინფორმირების სისტემა. გაუმჯობესდება სადგურების შესასვლელების ფიზიკური ხელმისაწვდომობა. მათ შორის, რამდენიმე მეტროსადგურზე დამონტაჟდება სპეციალური, დახრილი ლიფტები. „სადგურის მოედნის“ კვანძზე დამონტაჟდება ორი ლიფტი, პირველ და მეორე ხაზებს შორის წვდომის გასაუმჯობესებლად.

რეაბილიტირდება ცენტრალური სადრენაჟე სატუმბი სადგურები, შეიძლება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, სპეციალური და ადმინისტრაციული სატელეფონო სისტემები, უწყვეტი კვების წყარო (UPS) სადგურებზე მდებარე ცენტრალიზებული და ბლოკირების სიგნალიზაციისთვის, ასევე, ავტომატური მართვის პუნქტებისთვის. რეაბილიტირდება სადგურების გარეთ არსებული სავენტილაციო სისტემა, ჯამში, 18 ვენტილატორი და მართვის სისტემა. მოხდება მეტროს გაერთიანებული სახელოსნოების სრული გადაიარაღება და გარემონტდება შენობა-ნაგებობები. გადაიარაღდება მეტროს სასწავლო ცენტრი. განახლდება ტექნიკური ხელსაწყოები და დანადგარები.

- მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრში“ - ტურნიკეტების რაოდენობა გაიზარდა, 7 გასასვლელის ნაცვლად, მოეწყო 10 გასასვლელი, რამაც გაზარდა გამტარუნარიანობა. ერთ საათში, 6 300 მგზავრის მიღების ნაცვლად, 9 000-მდე მგზავრის გატარებაა შესაძლებელი.

➤ მეტროსადგურ „გოცირიძის“ სრული რეაბილიტაცია-განახლება დასრულდა.

სადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში, განახლდა ინტერიერი და ექსტერიერი, სრულად გადაიხურა მგზავრთა ჩასასხდომი ბაქანი და ჩატარდა მისი გამაგრების სამუშაოები. ასევე, სადგური ადაპტირდა შშმ პირებისთვის: დამონტაჟდა ორი ლიფტი და მოეწყო სპეციალური ტექტილური ბილიკები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა, როგორც სადგურის ვესტიბიულს, ასევე ბაქანს. გარემონტდა თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ოთახები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, შეიცვალა გახმოვანების სისტემა. სრულად გამოიცვალა სადგურის ელექტროსისტემები. რეაბილიტირდა მგზავრთა მისაღები ბაქანიც.



მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქის ინფრასტრუქტურის განახლება, აღდგენა, ახალი დასასვენებელი და სპორტული სივრცეების მოწყობა დაგეგმილ პროექტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 2023 წელს, თბილისში განხორციელდა და ასევე დაიწყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.

- ❖ მარშალ გელოვანის გამზირის და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზა გაიხსნა.



პროექტის ფარგლებში მასშტაბური სამუშაოები

განხორციელდა. კერძოდ, მაჭავარიანის ქუჩაზე და მარშალ გელოვანის გამზირზე, შეიკვალა მაგისტრალური წყალმომარაგების მილები და მისი ადგილმდებარეობა, მოეწყო ახალი სანიაღვრე ქსელი.

როგორც ცნობილია, გზის მშენებლობის პროცესში, მაჭავარიანის ქუჩაზე მეწყრული ზონა გამოვლინდა. ფერდის გამაგრებისთვის, ქართველი და გერმანელი სპეციალისტების

ჩართულობით, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. გარდა ამისა, 11 ლოკაციაზე მოეწყო ფერდის დამცავი ხიმინჯოვანი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლები, განხორციელდა ფერდების ფორმირება და დატერასება.

ტერიტორიაზე მოეწყო გარე განათების ქსელი და დამონტაჟდა LED სანათები. ამასთანავე, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები. კერძოდ, მაჭავარიანის ქუჩის და გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, გზის შუა გამყოფი ზოლი, გამწვანებული კუნძულები და სარწყავი სისტემა მოეწყო; 2800 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო და დაითესა ბალახი და დაირგო 700-მდე ნერგი, ხოლო 1300 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიყარა მულჩის საფარი.

აღსანიშნავია, რომ მარშალ გელოვანის გამზირის მხარეს, ფეხით მოსიარულეებისთვის მიწისქვეშა გადასასვლელი მოეწყო, რომელიც ადაპტირდა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ორი ლიფტით.

❖ **უნივერსიტეტის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება** - პროექტის პირველი ეტაპი მიმდინარეობს, რომლის დროსაც ქუჩაზე მთლიანად შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. მათ შორის იცვლება წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე, გაზმომარაგების და სხვადასხვა საჭაერო ქსელი, რომლებიც მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება.



- ❖ ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობის პროცესი გრძელდება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 24-მეტრიანი, ორი, ორზოლიანი საავტომობილო გზა და იქნება შესაძლებლობა, რომ ისარგებლონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც უწევთ თამარაშვილის ქუჩის გამოყენება გადაადგილებისთვის.



- ❖ ვერეს ხეობაში, გაბაშვილის ქუჩის N11 კორპუსის მიმდებარედ, სადაც ავარიული ფერდი ქმნიდა საშიშროებას. ამ ადგილას ახლა ეწყობა რკინა-ბეტონის ხიმინჯოვანი საყრდენი კედელი. სამუშაოების დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად მოიხსნება აღნიშნული ტერიტორიის პრობლემა. შედეგად, გვექნება უსაფრთხო გარემო როგორც ვერეს ხეობის, ასევე, გაბაშვილის ქუჩის ამ კორპუსის მოსახლეობისთვის



❖ აკაკი წერეთლის გამზირისა და შოთა შალიკაშვილის სახელობის (ე.წ. დიდუბის) ხიდის რეაბილიტაცია დაიწყო.



განხორციელდება წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაცია. კერძოდ, შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები, ასევე, შეიცვლება და განახლდება წყალმომარაგების, წყალარინებისა და გაზმომარაგების ქსელები; მოეწყობა სანიაღვრე ქსელი. გამზირზე დამონტაჟდება განათების ახალი სისტემა და ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვეშ განთავსდება; დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა ტროტუარი; ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, დაიხაზება ზებრა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის კი გამოიყოფა შესაბამისი სამოძრაო ზოლი. გარდა ამისა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა კი, ადაპტირდება შშმ პირებისთვის. ე.წ. დიდუბის ხიდის რეაბილიტაცია წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაციის პარალელურად განხორციელდება.

❖ ჟვანიას მოედნის - რეკონსტრუქცია დასრულდა ჟვანიას მოედანზე გაჩნდა საავტობუსო ზოლი იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა შეუფერხებლად შეძლოს გადაადგილება. აღნიშნულ ტერიტორიაზე საათში, დაახლოებით, ავტობუსების ჩათვლით, 1 400 ავტომობილი გადაადგილდებოდა. ეს რაოდენობა შენარჩუნებულია, უბრალოდ დამატებულია საავტობუსო ზოლი. დღეს გამტარუნარიანობა მეტია იმის გათვალისწინებით, რომ საავტობუსო ზოლი ცალკეა გამოყოფილი. გარდა ამისა, მოედანზე გამწვანდა თარგები, დამონტაჟდა განათების სისტემა, ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვეშ განთავსდა.



- ❖ **თამარაშვილის ქუჩა** - მოეწყო ავტობუსებისათვის ზოლი, ქვეითთა გადაადგილების მიზნით, მოეწყო შუქნიშნით რეგულირებული ზებრა გადასასვლელები; ასევე, დამონტაჟდა ტრენაჟორები და განათება. მოეწყო ბავშვთა გასართობი ზონა და სკვერი გამწვანდა.
- ❖ **ბაგების გზაგამყოფი** - პროექტის ფარგლებში, ავტობუსისთვის შესაბამისი ზოლი მოეწყო. იგეგმება ბაგების მთლიანი მოწესრიგება თავისი ინფრასტრუქტურით - საპარკინგე ადგილებით და საფეხმავლო ბილიკებით. აღნიშნულ მონაკვეთზე ქვეითთა უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილების მიზნით, გაფართოვდა ტროტუარები, მოეწყო შუქნიშნით დარეგულირებული „ზებრა“ გადასასვლელები და განახლდა ავტობუსის გაჩერებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

აღნიშნული ტერიტორია სრულად ადაპტირდა შშმ პირებისთვის. ამასთანავე, ქუჩის დიზაინი ითვალისწინებს კერძო ავტომობილების მოძრაობისას უსაფრთხოების ნორმების დაცვას



❖ მელიქიშვილის გამზირი - მელიქიშვილის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, დაახლოებით, 6 კილომეტრზე გამოიკვალა კომუნიკაციები, განახლდა წყალარინებისა და წყლის სადრენაჟე სისტემები, გაზის მილები. რეაბილიტირდა მიწისქვეშა და მიწისზედა საკომუნიკაციო ქსელები, მოეწყო სანიაღვრე და გარე განათების ახალი ქსელები, დამონტაჟდა თანამედროვე, LED სანათები. ფეხით მოსიარულეების უსაფრთხო გადაადგილებისთვის მოეწყო სატრანსპორტო კუნძულები, ახალი მოსაცდელეები და ზებრა გადასასვლელები, გამოიყო სპეციალური ზოლი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდა შშმ პირებისთვის, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და დაირგო სხვადასხვა სახის ხე-მცენარეები.




ძველი თბილისის რეაბილიტაცია

თბილისის განვითარების ფონდი, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, რუსთაველის გამზირზე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარეაბილიტაციო –სარესტავრაციო სამუშაოებს ახორციელებს. რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს საინჟინრო ქსელების მოწესრიგებას; 9 აპრილის ქუჩის მხარეს მდებარე მაღალი საყრდენი კედლის გამაგრებას; საძირკვლის გაძლიერების სამუშაოებს; შენობის ინტერიერში ოთახების სარესტავრაციო-სარემონტო სამუშაოებს; მხატვრულ-დეკორატიული დარბაზების საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს; კარ-ფანჯრების განახლებას პირვანდელი სახით; დაზიანებული დეკორატიული ბალუსტრადის რესტავრაციას; შენობის, ეზოსა და ღობეების სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ეროვნული სასახლის შენობა-ნაგებობების და ეზოს სრული რეაბილიტაციის დასრულება 2024 წელს არის დაგეგმილი.





მთაწმინდის რაიონში კიდევ ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კადეტთა კორპუსის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კადეტთა კორპუსის შენობა XIX საუკუნის მნიშვნელოვან არქიტექტურულ ობიექტს წარმოადგენს. რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს შენობის აღდგენას ძველი იერსახის შენარჩუნებით, ახალი მიშენების მოწყობას, ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას, მათ შორის, შენობის ავარიული შუა ფლიგელის დემონტაჟს და მის ნაცვლად ახალი მონოლითური კონსტრუქციის მშენებლობას, ლადიდის ქუჩის მხარეს არსებული ფლიგელის კონსტრუქციულ გამაგრებას.




აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის სარდაფის რეაბილიტაცია დაასრულდა რეაბილიტაციის ფარგლებში შენობა გამაგრდა, აღდგა კომუნიკაციები, მოეწყო სადრენაჟე და გათბობის სისტემები, დაიგო ფილები, გაიწმინდა აგურის კედლები, დამონტაჟდა შიდა რკინის კარები და ფანჯრები, მოეწყო სველი წერტილები და სართული სრულად ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე. ამჟამად მიმდინარეობს ფასადის გაწმენდისა და სარესტავრაციო სამუშაოები.



გამწვანება და ეკოლოგია

დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. თბილისის კიდევ არაერთი ლამაზი დასასვენებელი, მწვანე სივრცე შეემატა.

ზავშვთა ქალაქ „მზიურის“ იმ ტერიტორიაზე, რომელიც თბილისის მერიამ გასული წლის შემოდგომაზე ადგილმონაცვლეობის გზით დაიბრუნა, რეკრეაციული სივრცე ეწყობა მთლიანობაში, ორ ჰექტარ ტერიტორიაზე ახალი პარკი ეწყობა, რომელიც „მზიურის“ გაგრძელება იქნება. იმ მთავარ, დიდ მდელს, რომელიც დაზიანებული იყო, რეაბილიტაცია უტარდება - მთლიანად გამოიცვლება დრენაჟი და მწვანე საფარი, დაემატება ხე-მცენარეები. ასევე, სრულად რეაბილიტირდება სპორტული სივრცე და დამონტაჟდება განათების სისტემა. პარკში მოეწყობა საპიკნიკე არეალი და ძაღლების სასეირნო სივრცე.



ვაჟა-ფშაველას გამზირზე, პირველ კვარტალში არსებული ციციშვილის სახელობის პარკის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. დაახლოებით 2 ჰექტარზე განთავსებული რეკრეაციული სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, - დაირგვება ხე-მცენარეები, მოეწყობა სკეიტპარკი, პატარებისთვის გაკეთდება ატრაქციონები, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, დამონტაჟდება გარე განათების ახალი ქსელი.



თემქის ხევი - ახალი, საქალაქო მნიშვნელობის პარკი 25 ჰექტარზე ეწყობა. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სივრცეები მოეწყობა - სპორტული, დასვენების, გართობის ზონები, კეთდება სკეიტ პარკი, საკალათბურთო და საფეხბურთო მოედნები, მოსასვენებელი ფანჩატურები.

პარკის ტერიტორიაზე სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელები, სარწყავი, განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, მინი ფეხბურთის სტადიონი, სამეურნეო და დაცვის შენობები განთავსდება.

ასევე გათვალისწინებულია ორი საფეხმავლო ხიდის აშენება, რომელიც მიკრორაიონებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

ამის პარალელურად მიმდინარეობს გამწვანების მასშტაბური სამუშაოები.



გეგმიის ბაღი - პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე განახლდა საფეხმავლო ბილიკები, განთავსდა თანამედროვე სტილის საპარკე ინვენტარი, მოეწყო გარე განათების სისტემა და საბავშვო მოედანი. სევე, დამონტაჟდა სარწყავი სისტემა და დაირგო სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები.



პუშკინის სკვერი - რეაბილიტაცია ასრულდა.

მოეწყო დამატებითი გამწვანებული სივრცეები. ასევე, განახლდა საფეხმავლო ბილიკები, განთავსდა საპარკე ინვენტარი, მოეწყო გარე განათების სისტემა და დამატებით დამონტაჟდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. მოეწყო სარწყავი სისტემა.



ჯანმრთელობის დაცვა

დედაქალაქის მოსახლეობისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები. ყოველწლიურად იზრდება აღნიშნული პროგრამების მოსარგებლეთა რაოდენობა.

ჯანდაცვის სფეროში:

- დაავადებათა სკრინინგი
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა
- „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა
- ტრანსპლანტაცია
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება
- აფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

სოციალურ სფეროში:

- კომუნალური სუბსიდირება
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებსა და მოწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება

- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება
- სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
- ომის ვეტერანთა დახმარება
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება
- „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება
- შინმოვლის თანადაფინანსება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა
- სოციალური მზრუნველობის სააგენტო
- სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში
- უფასო სასადილოები რაიონებში
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ-ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება

- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში


ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით აღნიშნული პროგრამებს 2023 წელს დაემატა ახალი პროგრამა

- ენდოპროთეზირების პროგრამა

„სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამის განხორციელება დაიწყო - მუნიციპალიტეტი მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრის ხელოვნური იმპლანტით შეცვლის საჭიროების მქონე პირებს დააფინანსებს. ახალი პროგრამის მიმდინარე წლის ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარი იქნება.

ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა უკვე არსებულ პროგრამებში

- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების 100% ფინანსდება



- ტრანსპლანტაცია ფინანსდება 100 პროცენტით

მუნიციპალური ქონების მართვა

- დაუკანონებელ ფართებში მცხოვრებთა დაკმაყოფილების პროცესი გრძელდება. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად საანგარიშო პერიოდში 250 - მდე ოჯახი დაკმაყოფილდა სცხოვრებელი ფართებით.
- რაც შეეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით გამოწვეული დაზარალებულების დაკმაყოფილებას, დღეის მდგომარეობით **2200** წევრთან უკვე განხორციელებულია შესაბამისი ღონისძიებები, ხოლო კიდევ ასეულობით დაზარალებულის განცხადება რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის მერიაში და მიმდინარეობს განხილვები.
- უმნიშვნელოვანესია სამშენებლო კომპანიების მიერ დაზარალებული მოქალაქეების დახმარება და გაჩერებული მშენებლობების დასრულება. თბილისის მერია და საკრებულო, კერძო სამშენებლო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.
- ასევე გრძელდება, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტი. პროექტის ფარგლებში უკვე დაკმაყოფილდა ვარკეთილის ტერიტორიაზე მცხოვრები 36 ოჯახი. მუნიციპალიტეტმა კომპანიისგან სულ 142 ერთეული ბინა მიიღო. ამ დროისთვის დარჩენილია 107 ბინა, რომელიც ასევე, ვარკეთილის ტერიტორიაზე, ავარიულ კორპუსებში მცხოვრებ ოჯახებს გადაეცემა. კალოუბნის N18-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი უკვე დაწყებულია და 30 თვეში, ამჟამად ქირით უზრუნველყოფილი 29 ოჯახი ახალაშენებულ სახლში, გარემონტებული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდება.



განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

